



1გ/1239-16



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა საქართველოს სახელით

საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ

22 ივლისი 2016 წ.

თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
სპარტაკ პავლიაშვილმა

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ახალციხის რაიონული პროკურატურის საჩივარი ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის 2016 წლის 16 ივლისის განჩინებაზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ბრალდების მხარის შუამდგომლობა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების-დათვალიერების კანონიერად ცნობის შესახებ და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქართველოს შსს ახალციხის რაიონული სამმართველოს წარმომადგენელმა სისხლის სამართლის №XXXXXXXXXX საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2016 წლის 15 ივლისს ახალციხის რაიონულ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გ. ა.-მ და მოითხოვა 2016 წლის 14 ივლისს შსს ახალციხის რაიონული სამმართველოს გამომძიებელ ლ. მ.-ს მიერ ახალციხის რაიონის სოფელ წ.-ში ა. ს.-ს საცხოვრებელ სახლში 2016 წლის 14 ივლისს 22: 30 საათიდან იმავე დღის 23:20 საათამდე პერიოდში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შემთხვევის ადგილის -დათვალიერების კანონიერად ცნობა, რომლის შედეგად ამოღებული იქნა თეთრი ფერის კარების ფიცრის ნამტვრევი ექვსი ცალი.

ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის 2016 წლის 16 ივლისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ბრალდების მხარის შუამდგომლობა.



ბრალდების მხარემ გაასაჩივრა ახალციხის რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება და საჩივარში აღნიშნა, რომ 2016 წლის 14 ივლისს შსს ახალციხის რაიონულ სამმართველოს განცხადებით მიმართა მოქალაქე ა. ს.-მ და განაცხადა, რომ 2016 წლის 14 ივლისს ახალციხის რაიონის სოფელ წ.-ში მისი საცხოვრებელი სახლი გაქურდეს და მოიპარეს ოქროულობა და ფულადი თანხა, რაზეც ითხოვა დახმარება, რის საფუძველზეც შსს ახალციხის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება №XXXXXXXXXXXX საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. შესაბამისად საქმეზე ობიექტური და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ჩატარდა გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება შემთხვევის ადგილის დათვალიერება შსს ახალციხის რაიონული სამმართველოს თანამშრომელთა მიერ. მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარდა გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება შემთხვევის ადგილის, ა. ს.-ს საცხოვრებელი სახლის დათვალიერება, ვინაიდან არსებობდა ვარაუდი რომ შემთხვევის ადგილზე ყოფილიყო დანაშაულის ჩადენის აშკარა კვალი, ნივთმტკიცება ან ნებისმიერი მონაცემი რომელიც ხელს შეუწყობდა გამოძიების ეფექტურობას, ხოლო სასამართლოს განჩინების აღება რაც თავისთავად დამატებით დროს საჭიროებდა საერთოდ საფრთხეს შეუქმნიდა მტკიცებულებების შესაძლო მოპოვებას, ვინაიდან შესაძლებელი იყო ამ დროში საერთოდ განადგურებულიყო. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩატარდა გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება შემთხვევის ადგილის დათვალიერება. დათვალიერებისას ამოღებული იქნა ექვსი ცალი თეთრი ფერის კარების ნამტკრევი. სასამართლომ არ გაიზიარა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა (2016 წლის 19 მაისის №23-609 აპ-15 განჩინება) სადაც დადგინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია საგამოძიებო მოქმედება ჩატარებული იყოს კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობით, უზენაეს სასამართლოს მიაჩნია, რომ გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს სსსკ-ის 112-ე მუხლით დადგენილი სასამართლო კონტროლის აუცილებელი მექანიზმი, ასევე უზენაეს სასამართლომ არაკანონიერად მიიჩნია, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ, იმ მოტივით რომ თითქოს კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა მხარეს ათავისუფლებს სასამართლო კონტროლს თავი აარიდოს, ხოლო მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული გაიმეორა სასამართლომ რამაც შემდგომში შეიძლება საფრთხე შეუქმნას საგამოძიებო კანონიერებას და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. ბრალდების მხარე უთითებს, რომ 2016 წლის 15 ივლისს ახალციხის რაიონულმა პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს და წარადგინა სისხლის სამართლის საქმის მასალები, რომელთა მიხედვითაც დასტურდებოდა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გადაუდებლობა და ითხოვა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობა თანმდევი შედეგებით, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე იმისათვის, რომ მომავალში რომელიმე პირის მოთხოვნის ან საჩივრის გამო რომელიც ჩათვლის, რომ გადაუდებელმა აუცილებლობამ მისი კერძო საკუთრება ან მფლობელობის უფლება დაარღვია მიზანშეუწონლად მიაჩნია ბრალდების მხარეს და ითხოვს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შემთხვევის ადგილის დათვალიერების კანონიერად ცნობას მისი თანმდევი შედეგებით (იხ. ვრცლად საჩივარი).



თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ განიხილა საჩივარი, წარმოდგენილი საქმის მასალები და მიაჩნია, რომ საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად ამ მუხლის საფუძველზე გამოტანილი სასამართლოს განჩინება საჩივრდება ამ კოდექსის 207-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. განჩინების გასაჩივრების ვადა აითვლება განჩინების აღსრულებიდან.

იმავე კოდექსის 207-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საჩივრის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში მოსამართლე ატარებს ზეპირ მოსმენას ამ კოდექსით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით. მოსამართლე უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს საჩივარი, რომელიც არ შეეხება აღკვეთის ღონისძიების შესახებ განჩინებას.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მასალები იძლევა საჩივარში მითითებული გარემოებების ზეპირი მოსმენის გარეშე სრულყოფილად შეფასების, ობიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და მხარის არგუმენტები წარმოდგენილია სააპელაციო სასამართლოში იმგვარად, რომ შესაბამისად იქნეს შეფასებული სადაო გარემოებები, რის გამოც არ არსებობს მისი ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა.

საქმის მასალების მიხედვით 2016 წლის 14 ივლისს შსს ახალციხის რაიონული სამმართველოს ვალეს განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე **NXXXXXXXXXX**, ახალციხის რაიონის სოფელ წ.-ში მცხოვრები **ა. ს.-ს** საცხოვრებელი სახლიდან ფულადი თანხის და ოქროულობის ქურდობის ფაქტზე.

ვინაიდან სასამართლოს განჩინების აღებამდე შესაძლებელი იყო განადგურებულიყო შემთხვევის ადგილის ვითრება, გამოტანილი იქნა დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ახალციხის რაიონის სოფელ წ.-ში **ა. ს.-ს** საცხოვრებელ სახლში შემთხვევის ადგილის დათვალიერების შესახებ. აღნიშნული დადგენილება წარედგინა ამ საცხოვრებელი ბინის მფლობელს **ა. ს.-ს**. ამ უკანასკნელმა განაცხადა წერილობითი თანხმობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე, რაც ჩატარებული იქნა და ამოღებული იქნა ექვსი ცალი თეთრი ფერის კარების ნამტვრევი.

საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათში საქართველოს ახალციხის რაიონულმა პროკურატურამ მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შემოწმება. რაზეც ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარისთქმის თაობაზე, იმ მოტივით, რომ არსებობდა კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე.



საქართველოს სსსკ-ის 127-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად შემთხვევის ადგილის დათვალიერება ტარდება იქ, სადაც მოხდა დანაშაული ან აღმოჩენილია მისი კვალი. დათვალიერების დამთავრებამდე შემთხვევის ადგილი დაცული უნდა იყოს.

იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ამ მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედება შესაძლოა ჩატარდეს ამ კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედება გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, ან როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად), ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე, შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშე, რის შესახებაც მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით მოსამართლეს პროკურორმა უნდა აცნობოს საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში და უნდა გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები (ან მათი ასლები), რომლებიც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას. მოსამართლე მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლო სადაო საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კანონიერების შემოწმებისას მიუთითებს ამ დებულებებზე და განმარტავს, რომ სასამართლოს განჩინების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შემოწმებას მხარეთათვის შესაძლოა ჰქონდეს კრიტიკული მნიშვნელობა, მტკიცებულებათა სიმყარის მიმართულება იქნება ეს თუ შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობა. ამ საკითხის არსებითად შემოწმების გარეშე შესაძლოა სასამართლოს კონტროლს გარეთ დარჩეს ჩხრეკა-ამოღების პროცესის ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტები, რომელთაც შეეძლებათ გავლენა მოახდინოს სს საქმის საბოლოო ბედზე. ნიშანდობლივია, რომ ამგვარმა მოვლენამ უკვე იჩინა თავი სასამართლო პრაქტიკაში, რომლის შესახებაც შესაბამისი მსჯელობა ასახულია უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 19 მაისის 2კ-609აპ-15 განჩინებაში. შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოებმა აღნიშნული გარემოებები აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ. განსაკუთრებულ მნიშვნელობას აღნიშნული ფაქტები იძენენ ე.წ. შედეგიანი ჩხრეკა-ამოღების (ასევე შედეგიანი შემთხვევის ადგილის დათვალიერების და სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას) კანონიერების შემოწმებისას, თან იმ პირობებში, რომ სასამართლოების მიერ არ მოხდება ამოღებული მტკიცებულებებისათვის წინასწარ რაიმე მნიშვნელობის ან უმნიშვნელობის მინიჭება.



საქართველოს სსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ამ ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების სასამართლოს განჩინების გარეშე ჩასატარებლად.

ამ დებულებების მიხედვით მითითებული სუბიექტების თანხმობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებას არ სჭირდება სასამართლო კონტროლი, თუმცა ყურადღება უნდა მიექცეს მხარის შუამდგომლობის შინაარსს, საგამოძიებო მოქმედების მნიშვნელობას გამოძიების პროცესისათვის და მხარის მოთხოვნას ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შემოწმების შესახებ. ის შესწავლილი უნდა იქნეს არსებითად და მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილება, ვინაიდან უზენაესი სასამართლოს ზემოთხსნეული გადაწყვეტილება პირდაპირ მიუთითებს, რომ შესაძლებელია გარკვეულ გარემოებებში არსებობდეს კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა, მაგრამ შუამდგომლობა მაინც არსებითად უნდა იქნეს განხილული. თავის მხრივ აღნიშნული გარემოებები ბრალდების მხარესაც ავალდებულებს სასამართლოს წარუდგინოს მაქსიმალური ინფორმაცია ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების და მისი შედეგების შესახებ. (შესაძლოა იყოს ფოტო ილუსტრაცია და ა.შ.)

საქართველოს სსკ-ის 94-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად თუ შუამდგომლობაში გადმოცემული მოთხოვნის შესრულება ხელს უწყობს სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების განხორციელებას, იგი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თუ შუამდგომლობა მიმართულია სისხლის სამართლის პროცესის გაჭიანურებისაკენ ან მისთვის ხელის შეშლისაკენ – უარი უნდა ითქვას მის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ამ კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების არსებითად შემოწმების შუამდგომლობა, მხოლოდ უწყობს ხელს პროცესის ამოცანების სრულყოფილად შესრულებას. ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ამ დებულებების დაცვას უპირატესობა უნდა მიენიჭოს მესაკუთრის, თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის მიერ თანხმობის გამო, სასამართლოს კონტროლის გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შემოწმებაზე უარისთქმის უფლებამოსილების განმსაზღვრელ დებულებებთან შედარებით.

ჩვენს შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე თანხმობა განაცხადა ბინის მფლობელმა ა. ს.-მ. აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში, რომ გამოძიება მიმდინარეობს 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც თავის მხრივ განეკუთვნება ფარულ დანაშაულთა კატეგორიას, რის გამოც საგამოძიებო ორგანოებს ნაკლები წვდომა აქვთ შემთხვევის ადგილზე არსებულ ვითარებასთან, შესაბამისად თითოეულ მტკიცებულებას ესაჭიროება დაწვრილებით შესწავლა და სათანადო დამაგარება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდების სიმძიმის, ჩადენილი დანაშაულის ხასიათის გათვალისწინებით ნამდვილად არსებობდა რისკი, რომ მომხდარიყო ა. ს.-ს საცხოვრებელ მისამართზე არსებული ვითარების



განადგურება, შესაბამისად გადაუდებელი აუცილებლობა სახეზეა. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის მიხედვით დათვალიერება დაიწყო 2016 წლის 14 ივლისს 22:30 საათზე და დამთავრდა 23:20 საათზე, დათვალიერებას ესწრებოდა ა. ს., რომელმაც ხელი მოაწერა ოქმს და რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვავს. ამოღებული ნივთები, დაწვრილებით აღიწერა და დაილუქა შესაბამისი წესით და დაესვა ხელმოწერები. ოქმს თან ერთვის ფოტოილუსტრაცია, რომლის მიხედვითაც რაიმე განსხვავებული ვითარება ოქმში აღწერილ გარემოებებთან მიმართებაში არ იკვეთება. ეს გარემოებები კი მიუთითებს, რომ დათვალიერება ჩატარდა საპროცესო მოთხოვნათა შესაბამისად.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ ჩატრებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება ცნობილი უნდა იქნეს კანონიერად.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა სსსკ-ის 3-ე, 9-ე, 112-ე, 147-ე, 207-ე 93-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. პროკურორ გ. ა.-ს საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის 2016 წლის 16 ივლისის განჩინება(11/გ061-16), საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შემოწმების შესახებ.
3. 2016 წლის 14 ივლისს, 22:30-23:20 საათებს შორის შუალედში გამომძიებელ ლ. მ.-ს მიერ, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაში, მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატრებული ა. ს.-ს საცხოვრებელ ბინაში შემთხვევის ადგილის დათვალიერება თანმდევი შედეგებით ცნობილი იქნეს კანონიერად.
4. განჩინება (ასლები) გაეგზავნოთ და გადაეცეთ სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-7 ნაწილით და 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ პირებს და ორგანოებს;
5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე

სპარტაკ პავლიაშვილი